



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი
ხელოვნების მასწავლებელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2019 წლის 5 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი

2019 წლის 15 აპრილი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი
განათლების საფეხური	-
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	-
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოდერძი ბუჩაშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ღაღანიძე, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან თაყაიშვილი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლოს პრაგრამა ხორციელდება 2013 წლიდან.

პროგრამის მიზანია:

- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული კომპეტენციის მქონე სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მომზადება;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროფესიული და დარგობრივი უნარ-ჩვევების, საგნის სწავლების მეთოდის, მოსწავლის შეფასების კრიტერიუმების დაუფლება საგნობრივი პროგრამის მიმართულებების შესაბამისად (შემოქმედებითობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ხელოვნების აღქმა კონტექსტში, კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია) .
- ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მასწავლებლის მომზადებას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის ცოდნისა და უნარების მქონე სპეციალისტის რეალიზებას და კარიერულ წინსვლას.
- შრომის ბაზარზე არსებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კვალიფიციური მასწავლებლის დეფიციტის აღმოფხვრა.

პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. მათ შორის 28 კრედიტი მასწავლებლის მომზადების პედაგოგიური მოდული, 22 კრედიტი დარგობრივი მოდული-სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, 10 კრედიტი პედაგოგიური პრაქტიკა.

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 5 აპრილს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, (რექტორი, კანცლერი, ხარისხის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადეკვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტისა და უშუალოდ პროგრამის ადმინისტრაციის მიერ. დაწესებულების მხრიდან, გამოიხატა მზაობა არსებული რეკომენდაციების გათვალისწინებისა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
 - საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და არსებული წესის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობა პროგრამასა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის არ ფიქსირდება.

- **რეკომენდაციები**
 - აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში 1 ადამიანია, რომელიც, ამავე დროს, იკავებს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობას. სასურველია, პროგრამაში დასაქმებული იყოს აკადემიური პერსონალის სხვა წარმომადგენლებიც, მითუმეტეს, რომ უნივერსიტეტს აქვს ამის რესურსი;
 - პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერების და გამოცდილების გაზიარების მიზნით სასურველია საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის ჩართვა;
 - სილაბუსში „შესავალი პედაგოგიურ პროფესიაში“ წერია - *შეასწავლის სტუდენტს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული აქტივობებს.* სქემის ცვლილებასთან დაკავშირებით სასურველი იქნებოდა მისი მოდიფიკაცია და ახალ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;
 - სილაბუსში „ინკლუზიური განათლება“, სასურველია, ამ ცნების მნიშვნელობა უფრო ფართოდ იქნას წარმოჩენილი და განხილული იყოს ასევე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა სწავლების თავისებურებებიც.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კვალიფიციურ მასწავლებლებზე დიდი მოთხოვნაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიმჩნევა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის კლება. უნივერსიტეტს და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს იდენტიფიცირებული აქვს, რომ ძირითად წინაღობას წარმოადგენს მასწავლებლის საგნობრივი გამოცდა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა დიდი რაოდენობისათვის სერიოზულ ბარიერს წარმოადგენს. სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს ამ ბარიერის დაძლევის გეგმა და ქმედითი ღონისძიებები რაც,

თავისთავად, პროგრამის მდგრადობის განმაპირობებელ ფაქტორად უნდა იქცეს (მაგალითად, უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე შემუშავდეს საგნობრივი გამოცდისათვის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსი და სხვ.)

- რეკომენდებულია სასწავლო პროცესში ექსტრაკურიკულარული აქტივობების ჩართვა, რის სურვილსაც სტუდენტებიც გამოხატავენ;

- უნივერსიტეტმა, სასურველია, მეტად შეუწყო ხელი პროგრამის პოპულარიზაციას ყველა პოტენციურ მსურველთან, როგორცაა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ასევე ხელოვნების/სამხატვრო სკოლის მასწავლებლები, უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულები და სტუდენტები. პროგრამის პოპულარიზაციისათვის კარგი იქნება PR კამპანიაში კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მიზანმიმართული ჩართვა, მათი პოტენციალის არა შემთხვევით, არამედ მიზანმიმართულად გამოყენება მომავალი სტუდენტების მოსაზიდად, რასაც ამჟამად არაფორმალური სახე აქვს. მით უმეტეს, რომ ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ პროგრამას და მის პატრიოტებად გვევლინებიან.
- პროგრამაში ჩართულ მხარეებთან, კერძოდ, აქტიურ დამსაქმებლებთან, სასურველია, გაფორმდეს მემორანდუმები
- სასურველი იქნებოდა, შედარებით მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტთა სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებას და ისინი ჩაერთონ უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ღონისძიებებში. მასწავლებლის მუშაობის ანალიზი, სასწავლო პრაქტიკის კვლევა, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება და ახალი იდეები პედაგოგიურ მუშაობაში აქტუალური მიმართულებაა სამეცნიერო კონფერენციებზე, პოპულარიზაციას უწევს სწავლების საკითხებს და უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს ხდის კონფერენციის პროგრამას.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- წინა აკრედიტაციის რეკომენდაციები მეტწილად გათვალისწინებულია გარდა ერთი რეკომენდაციისა, რომელიც ეხება სილაბუსებში სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის საათების გაწერას.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი“ მიზნად ისახავს ხელოვნების მაღალკვალიფიციური მასწავლებლის მომზადებას, კერძოდ, პროგრამამ უნდა მოამზადოს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგები, რომლებიც უნდა ფლობდნენ მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებულ კომპეტენციებს, საგნის სწავლების მეთოდოლოგიას, სწავლა/სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიას და, შესაბამისად, აღნიშნული საგნის კვალიფიციური მასწავლებლის დეფიციტის აღმოფხვრას ემსახურება.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას მოამზადოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, თავისუფალი, ზნეობრივი და შეგნებული მოქალაქეობრივი სულისკვეთების მქონე სპეციალისტები და დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნები ამ თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ მისიის თანახმად, უნივერსიტეტს დეკლარირებული აქვს დასავლეთ საქართველოს რეგიონში წამყვანი პოზიციის დაკავება კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ცენტრის სახით. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაც ამ სულისკვეთებიდან გამომდინარე განსაზღვრავს პრიორიტეტებს.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის კვლევის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე. კვლევამ დაადასტურა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კვალიფიციური მასწავლებლების საჭიროება რეგიონში. პროგრამა მოწოდებულია მოამზადოს მაღალკვალიფიციური პედაგოგები ზოგადი განათლების სამივე საფეხურისთვის, რაც ხელს შეუწყობს სკოლის უზრუნველყოფას მასწავლებლის საგნობრივი სტანდარტითა და საგნობრივი პროგრამით განსაზღვრული მიმართულებების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კადრებით. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამა ემსახურება სახელოვნებო განათლების უმნიშვნელოვანეს სფეროს და თვალსაჩინო წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში.

მნიშვნელოვანია, რომ გამოხატული მოთხოვნისა და მაღალი ინტერესის მიუხედავად პროგრამაზე ჩარიცხვის დინამიკა კლებადია. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მკაფიო სტრატეგია და დასახოს პრობლემის აღმოსაფხვრელად ქმედითი აქტივობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ არსებობს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კვალიფიციურ მასწავლებლებზე დიდი მოთხოვნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიმჩნევა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის კლება. უნივერსიტეტს და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს იდენტიფიცირებული აქვს, რომ ძირითად წინაღობას წარმოადგენს მასწავლებლის საგნობრივი გამოცდა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა დიდი რაოდენობისათვის სერიოზულ ბარიერს წარმოადგენს. სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს ამ ბარიერის დაძლევის გეგმა და ქმედითი ღონისძიებები რაც, თავისთავად, პროგრამის მდგრადობის განმაპირობებელ ფაქტორად უნდა იქცეს (მაგალითად, უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე შემუშავდეს საგნობრივი გამოცდისათვის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსი და სხვ.)
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია სამი კატეგორიის მეშვეობით: ცოდნა/გააზრება, პრაქტიკული უნარები, დამოკიდებულებები და ღირებულებები. თავის მხრივ, შედეგები დაყოფილია რამდენიმე ბლოკად: პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება, სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, სასწავლო პროცესის შეფასება და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ფორმები, მონაცემთა შეგროვება და მათი ანალიზი. შეფასების მექანიზმები წარმოდგენილია მონიტორინგის, გამოკითხვის, აკადემიური მოსწრების ანალიზის სახით. შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, რაც საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე ჩატარებული და ასახულია კურიკულუმში და სწავლის შედეგებში შესული ცვლილებების სახით (მაგალითად, დამსაქმებელთა მოსაზრების თანახმად, კურიკულუმს დაემატა სასწავლო კურსი „ზოგადი განათლების სამართლებრივი საფუძვლები“ შესაბამისი სწავლის შედეგებით). სწავლის შედეგების შეფასების მიზნით გამოიყენება შეფასების კლასიფიცირებისა და პროცენტული განაწილების სქემები, რომელთა ანალიზის შედეგები ასევე გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. ამდენად, პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ აღწერს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობების კომბინაციას, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამის გავლა უზრუნველყოფს. სწავლის შედეგების შეფასება ხდება სისტემატიურად გაზომვადი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სახით, ხოლო შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ; ○ სწავლის შედეგების რუკა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, მასზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა ჩართვას პროგრამაში. პროგრამაზე დაიშვებიან ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესასამისი დარგის მინიმუმ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები, რომლებსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვთ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული გამოცდით შესაბამის საგანში და წარმატებით ჩააბარეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა. ზეპირ გამოცდაზე სწავლის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები მოტივაციის, ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე აქტუალური პროცესების, სკოლაში ხელოვნების სწავლების მნიშვნელობის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებების სწავლების სპეციფიკის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სიახლეების ირგვლივ, ასევე სასკოლო პრაქტიკიდან შეთავაზებული სიტუაციის მიხედვით უნდა დასახოს და წარადგინოს პრობლემის გადაჭრის გზები.
- გამოცდაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები დამტკიცებულია ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და საჯარო და ხელმისაწვდომია. გარდა ამისა, უნივერსიტეტის წარმოდგენილი აწყობენ შეხვედრებს დასავლეთ საქართველოს სკოლებსა და რეგიონალურ რესურსცენტრებში ბხსუ-ს სხვადასხვა პროგრამებზე ჩარიცხვის პირობების გაცნობის მიზნით. თუმცა, მიუხედავად ამისა, პროგრამა (კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მიერ მისი მაღალი შეფასების მიუხედავად) საჭიროებს პოპულარიზაციას, მის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას სწავლის პოტენციურ მსურველთა შორის. საჭიროებას ადასტურებს სტუდენტთა რაოდენობის კლება (2016 – 5 სტუდენტი, 2017 – 5 სტუდენტი, 2018 – 3 სტუდენტი). ამას თავად პროგრამის მესვეურებიც აღნიშნავენ და ამასვე ამბობენ ახლანდელი და ყოფილი სტუდენტებიც, რომლებმაც პროგრამის შესახებ კურსდამთავრებულებისგან/უნივერსიტეტში სწავლის დროს გაიგეს. რაც საკმარისია ინფორმაციის გასავრცელებლად მხოლოდ მცირე სეგმენტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
- თვითშეფასების კითხვარი;
- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
- ბხსუ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

○

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტმა, სასურველია, მეტად შეუწყოს ხელი პროგრამის პოპულარიზაციას ყველა პოტენციურ მსურველთან, როგორცაა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ასევე ხელოვნების/სამხატვრო სკოლის მასწავლებლები, უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულები და სტუდენტები.

პროგრამის პოპულარიზაციისათვის კარგი იქნება PR კამპანიაში კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მიზანმიმართული ჩართვა, მათი პოტენციალის არა შემთხვევით, არამედ მიზანმიმართულად გამოყენება მომავალი სტუდენტების მოსაზიდად, რასაც ამჟამად არაფორმალური სახე აქვს. მით უმეტეს, რომ ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ პროგრამას და მის პატრიოტებად გვევლინებიან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ეფუძნება უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შეფასების წესი. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 60 კრედიტი; 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ; აქედან: მასწავლებლის მომზადების პედაგოგიური მოდული - 28 კრედიტი, დარგობრივი მოდული -სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება 22 კრედიტი, პედაგოგიური პრაქტიკა -10 კრედიტი. პროგრამა ხორციელდება 2 სემესტრის განმავლობაში. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს ფაკულტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი. პროგრამის შემუშავება-მოდულიზირებას კურირებს პროგრამის ხელმძღვანელი. ამ პროცესში მონაწილეობენ აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები.

მონიტორინგის შედეგების, გამოთქმული მოსაზრებების, წინადადებების და რეკომენდაციების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის სრულყოფა. პროგრამის გასაუმჯობესებლად ითვალისწინებენ სტუდენტების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის მასალებს, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგებს.

პროგრამა შემუშავებულია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 622/ი საფუძველზე (დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები: საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ; საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ; ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი; მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა; ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო; ეროვნული სასწავლო გეგმა, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამაზე ჩარიცხვის პერიოდისათვის სტუდენტს საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული გამოცდით. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ძირითადად ითვალისწინებს პედაგოგიური მოდულისა და საგნის სწავლების მეთოდების დაუფლებას. მეთოდოლოგურ კურსებთან ერთად მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სტანდარტის ცოდნა და თითოეული კლასის სწავლის შედეგის მისაღწევი ამოცანების გააზრება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის სწავლების მიმართულებების (შემოქმედებითობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ხელოვნების აღქმა კონტექსტში, კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია) სწავლების მეთოდების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება, პედაგოგიური და საგნობრივი მეთოდების სინთეზის უნარების განვითარება.

ვინაიდან იგულისხმება, რომ სტუდენტს დადასტურებული უნდა ჰქონდეს საგნობრივი კომპეტენცია, კურსი ითვალისწინებს მის მომზადებას პედაგოგიკისა და მეთოდის მიმართულებით. პროგრამის სასწავლო კურსები თანმიმდევრულადაა შედგენილი. პროგრამის კომპონენტები ხელს უწყობს სტუდენტს ჩამოუყალიბდეს პედაგოგიური და საგნის მეთოდის კომპეტენციები.

პროგრამის თითოეული კომპონენტი ისეა აგებული, რომ მათი მოცულობა, სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრავს სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა პედაგოგიურ-თეორიული საგნების მიმართ სტუდენტების ინტერესი. აღინიშნა, რომ იყენებენ პედაგოგიურ პრაქტიკაში ახლად ნასწავლ მეთოდებს. მაგალითად დასახელებული იყო კურსი **აქტიური სწავლების მეთოდები**, რომლის ფარგლებში მიღებულ ცოდნას ისინი გამოცდიდნენ უშუალოდ გაკვეთილზე, პრაქტიკაში, შემდეგ ლექციაზე კი განიხილავდნენ ამ შედეგებს. **გარდა ამისა, ისწავლება** ადამიანის განვითარების ფსიქოლოგიური საფუძვლები, **ინკლუზიური განათლება**, როგორც დამოუკიდებელი საგანი. სტუდენტთა მოთხოვნით პროგრამაში გაჩნდა ახალი სასწავლო კურსი „ზოგადი განათლების სამართლებრივი საფუძვლები“ რომელიც მათ აძლევს ცოდნას და უნარებს ზოგადი განათლების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტების, სამართლებრივი აქტების, პროფესიული უფლება-მოვალეობების გააზრებისა და პრაქტიკაში გამოყენების შესახებ.

პროგრამაში არის ე. წ. სასკოლო კურსები, როგორიცაა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების სტანდარტი სკოლაში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მეთოდიკა), ასევე (სახვითი ხელოვნების პრაქტიკული კურსის სწავლების მეთოდიკა, დეკორატიული ხელოვნება - პრაქტიკული კურსი სწავლების მეთოდიკით) გათვალისწინებულია შემოქმედებითი საქმიანობისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების, მხატვრული ხერხების და ელემენტების, მასალაში მუშაობის უნარ-ჩვევების, სწავლების მეთოდებისა და ხერხების, შემოქმედებითი ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმების დაუფლებისათვის.

ამ კურსებში მიღებულ გამოცდილებასა და ცოდნას სტუდენტი გამოიყენებს პედაგოგიური პრაქტიკის დროს, ამ დროს მას საშუალება ეძლევა, პრაქტიკის ხელმძღვანელის დაკვირვებების ქვეშ გამოავლინოს ახლად შეძენილი კომპეტენციები და მიიღოს უკუკავშირი. აქვე დავამატებთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელს ამზადებს, პროგრამის შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, გამდიდრებული უნდა იყოს ექსტრაკულრიკულარული აქტივობებით.

პროგრამის თითოეული კურსის მიზანი, კრედიტების რაოდენობა, დაშვების წინაპირობა, საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები და ფორმატი (ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, პედაგოგიური სიტუაციის ანალიზი და ა.შ.), შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა უზრუნველყოფს კურსით გათვალისწინებული მიზნების, პედაგოგიური უნარებისა და დარგობრივი კომპეტენციების მიღწევას. თითოეულ სილაბუსში გაწერილია კომპეტენციები და სწავლის შედეგები, რომელსაც სტუდენტი დაეუფლება შესაბამისი კრედიტის ათვისების შემთხვევაში. თითოეული სასწავლო კურსი სრულდება გამოცდით. ყოველ გამოცდაზე დაშვებას აქვს წინაპირობა, რომელიც უზრუნველყოფს კურსის სწავლების პროცესში აუცილებელი აქტივობების განხორციელებას. სილაბუსებში განსაზღვრულია გამოცდისთვის მოსამზადებელი დროის სავარაუდო ხანგრძლივობაც.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის ანოტაციისა და სასწავლო გეგმის განთავსებას ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
- თვითშეფასების კითხვარი;
- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
- ბხსუ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- სილაბუსში „შესავალი პედაგოგიურ პროფესიაში“ წერია - *შეასწავლის სტუდენტს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებულ აქტივობებს.*“ სქემის ცვლილებასთან დაკავშირებით სასურველი იქნებოდა მისი მოდიფიკაცია და ახალ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.
- სილაბუსში „ინკლუზიური განათლება“, სასურველია, ამ ცნების მნიშვნელობა უფრო ფართოდ იქნას წარმოჩენილი და განხილული იყოს ასევე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა სწავლების თავისებურებებიც.
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელს ამზადებს, ვფიქრობთ, გამდიდრებული უნდა იყოს ექსტრაკურსულარული აქტივობებით, როგორცაა, მუზეუმების, გამოფენების დათვალიერება, ამ სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრა და მათი გამოცდილების გაცნობა და ა. შ. დღეისათვის ექსტრაკურსულარული აქტივობების აქტუალობასთან ერთად, დარგის უკეთ გაცნობისა და მის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბების გარდა, მასწავლებელი უშუალოდ გამოიყენებს ამ გამოცდილებას მოსწავლეებთან მუშაობისას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრა 2018 წლის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. პროგრამის კომპონენტები, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. კურსში შემავალი თითოეული საგნის შინაარსის შესაბამისობაშია კურსის მიზნებთან და შედეგებთან, მოცემულია შედეგების მიღწევის ადეკვატური მექანიზმები. სასწავლო კურსების მიზნების, შედეგების, კურსის შინაარსის შესაბამისად განსაზღვრული თითოეული საგნის კრედიტი. ორ სემესტრში კრედიტები განაწილებულია 31 და 29 კრედიტის ოდენობით, სილაბუსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოყოფილია საათების შესაბამისი რაოდენობა. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, „კრედიტში საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია ის, რომ სტუდენტებს აქვთ ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი, ასევე, „სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში“ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტესტირებით. შესაბამისად, სტუდენტის ცოდნის ათვისებისა და დამოუკიდებელი მუშაობის ხარისხი უფრო მაღალია. აქედან გამომდინარე, როგორც პროგრამის ორწლიანი მოქმედების პრაქტიკა გვიჩვენებს, თეორიული სასწავლო კურსებისათვის კვირაში 2 საათიანი საკონტაქტო შეხვედრა და დამოუკიდებელი მუშაობისათვის გათვალისწინებული საათები ადეკვატურია სასწავლო კურსით მისაღწევ შედეგებთან.“ ამის გათვალისწინებით, თეორიული საგნებისათვის გამოყოფილია 33-35

საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის 90-92 საათი. სხვა ტიპის სასწავლო კურსებისათვის, როგორცაა, მაგალითად, დეკორატიული ხელოვნება (პრაქტიკული კურსი სწავლების მეთოდით) გამოყოფილია 45 საკონტაქტო, 105 დამოუკიდებელი სამუშაო საათი. თითოეულ საგანში ინდივიდუალურად, მისაღწევი შედეგიდან გამომდინარე, განსაზღვრულია სალექციო და სასემინარო/ჯგუფში მუშაობის საათები. კურსის სპეციფიკის, მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით განისაზღვრა ლიტერატურა და სასწავლო მასალა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; ○ თვითშეფასების კითხვარი; ○ სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი; ○ ბხსუ-ს ვებგვერდი; ○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ტრანსფერული უნარების განვითარება	და
--	----

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს აღებული ინტერვიუების მიხედვით, პროგრამა მიმართულია სტუდენტთა პრაქტიკული, საშემსრულებლო, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, რაც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლისათვის აუცილებელი მოცემულობაა. სტუდენტები სწავლობენ როგორც სახვითი, ასევე გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგს და ეუფლებიან მათი სწავლების მეთოდებს. როგორც სტუდენტებმა თქვეს, პროგრამის ფარგლებში ნასწავლი მეთოდიკა მათ ახალ გზებს უსახავს სწავლებაში, უადვილებთ ყველა მოსწავლის დაინტერესებას სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებით, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას შემოქმედებით პროცესში. ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ შეუძლებლად მიაჩნდა მოსწავლეებისათვის ტიხრული მინანქრის ტექნიკის პრაქტიკული გაცნობა, თუმცა კურსის ფარგლებში მიღებული გამოცდილების შედეგად მეტალის სიმებისა და პლასტილინის გამოყენებით ადვილად ახორციელებს ამ პროცესს. გარდა ამისა, სტუდენტები ახორციელებენ შემოქმედებით პროექტებს, მასტერკლასებს. უნივერსიტეტში ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო პროგრამის სტუდენტთა და მათი მოსწავლეების ნამუშევრების ექსპოზიცია.
- მიუხედავად იმისა, რომ თეორიული სალექციო კურსები ითვალისწინებს კვლევის, როგორც თემატიკის გაცნობას, შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა სტუდენტთა სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებას. ისინი არ იყვნენ ინფორმირებულები მომავალი სტუდენტური კონფერენციის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
- თვითშეფასების კითხვარი;
- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
- ბხსუ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი იქნებოდა, შედარებით მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტთა სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებას და ისინი ჩაერთონ უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ღონისძიებებში. მასწავლებლის მუშაობის ანალიზი, სასწავლო პრაქტიკის კვლევა, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება და ახალი იდეები პედაგოგიურ მუშაობაში აქტუალური მიმართულებაა სამეცნიერო კონფერენციებზე, პოპულარიზაციას უწევს სწავლების საკითხებს და უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს ხდის კონფერენციის პროგრამას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
